პრეს რელიზი

ევროკავშირის და AFD-ის მიერ მხარდაჭერილი რიგით მეორე, საერთაშორისო, ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვის ფორუმი საქართველოში

9-10ივნისი, 2022 თბილისი – ევროკავშირის მიერ NIF პროგრამის ფარგლებში ორ-დღიანი საერთაშორისო, აგრობიზნეს, ონლაინ ფორუმი „ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვის მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში: ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ ერთად“ გაიმართა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა, ქვეყანაში ვაშლის სექტორის პერსპექტივების, შესაძლებლობების და გამოწვევების განხილვა. ღონისძიება დაფინანსებულ იქნა ევროკავშირის მიერ NIF პროგრამის ფარგლებში, საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (AFD) თანამშრომლობით და ორგანიზებულ იქნა FinExCoop საქართველოს მიერ.

ფორუმმა უნიკალური შესაძლებლობა მისცა სექტორით დაინტერესებულ მხარეებს, გაეცვალათ ინფორმაცია ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვის მწვავე თემების შესახებ, ასევე გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის რეკომენდაციები სექტორის მომავალი განვითარებისთვის, შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ვაშლის სექტორის მოდერნიზაციის გზებზე, ფერმერთა დონეზე ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებაზე, აღჭურვილობებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობაზე, ასევე ბაზარზე უკეთ წვდომის და დაფინანსების შესაძლებლობაზე.

გახსნით სიტყვაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის (MEPA) მინისტრის პირველმა მოადგილემ ბ-ნმა გიორგი ხანიშვილმა ისაუბრა MEPA-ს სტრატეგიაზე ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვის მხარდასაჭერად საქართველოში და აღნიშნა: *„საჭიროა იმპორტის და ექსპორტისთვის რესურსების გამოყენება, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა ადგილობრივი მხარდაჭერის გასაძლიერებლად, გამოვიყენოთ პესტიციდების და სასუქის დაბალი მოხმარების საუკეთესო პრაქტიკა და დავაკმაყოფილოთ საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები, ასევე მჭიდროდ ვითანამშრომლოთ ლაბორატორიებთან და ჩავატაროთ ხარისხის კონტროლი, რადგან მივიღოთ მაღალი ხარისხის პროდუქტი“*

ასევე მისასალმებელი სიტყვით საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და სურსათის უვნებლობის პროგრამის მენეჯერი ბ-ნი ჟორჟ დეუ გამოვიდა: *„სოფლის მეურნეობა ევროკავშირში დიდ ცვლილებებს განიცდის. მწვანე შეთანხმება, „Farm-to-Fork“ სტრატეგია და ახალი საერთო სასოფლო სამეურნეო სტრატეგია 2023-2027, წარმოადგენს ევროპელი მომხმარებლების მოთხოვნას, რადგან მათ ჰქონდეთ*

წვდომა მაღალი ხარისხის, უსაფრთხო და მეტად მდგრად საკვებ პროდუქტზე. ეს ყოველივე ასევე გავლენას მოახდენს საკვები პროდუქტების ტიპსა და ხარისხზე, რომელსაც ევროკავშირი მომავალში შემოიტანს. AFD-ისთან და სხვა ევროპელ კოლეგებთან ერთად, ვიმედოვნებთ, რომ FinExCoop-ის მსგავსი ინიციატივები საშუალებას მისცემს ქართულ აგროპროდუქტებს მიაღწიონ ხარისხის იმ დონეს რაც საშუალებას მისცემს მათ, შევიდნენ ევროკავშირის ბაზარზე და მაქსიმალურად გამოიყენონ DCFTA-ის სტანდარტები."

ძირითადი გამოსვლების შემდეგ FinExCoop-მა წარმოადგინა ვიდეო ფილმი და მოკლე ჩვენებები ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვზე, სადაც საპილოტე პროექტების ფერმერები საუბრობენ ძირითადი გამოწვევების შესახებ, რომლის წინაშეც დგანან ისინი საქართველოში.

AFD -ის თბილისის რეგიონალური ოფისის დირექტორმა ბ-ნმა რაფაელ ჯოზანმა, ხაზი გაუსვა საქართველოს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მნიშვნელობას და AFD-ის როლს, დარგის განვითარებისთვის წვლილის შეტანაში. *"AFD -ის ამბიციას წარმოადგენს, განვითარებისა და ინოვაციების კაპიტალიზაცია და მასშტაბირება, მთავარი პრინციპი ევროკავშირში ინტეგრირებული წყლისა და მიწის მართვის პრაქტიკის ხელშეწყობაა, კლიმატის მიმართ ჭკვიანი სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად. ფერმერები საჭიროებენ მხარდაჭერას, მდგრადი ღირებულებათა ჯაჭვის შესაქმნელად და წყლისა და მიწის მართვის ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერებაში. FinExCoop-ი თავისი საქმიანობით აუმჯობესებს რეგიონში წარმოებული ყველა პროდუქტის ღირებულებას, ბევრად უფრო მძლავრი ღირებულებათა ჯაჭვის შექმნით, რომელიც აკავშირებს მიმღებებს (აგროპროცესორები, თანამედროვე საცალო მოვაჭრეები, ექსპორტიორები) და ფერმერებს".*

ფორუმის მეორე დღე დაეთმო შემდეგ თემებს, როგორიცაა: თუ როგორ ვაწარმოოთ ქართული ვაშლი ევროკავშირის მწვანე შეთანხმების საუკეთესო სტანდარტებით და როგორ გავზარდოთ ქართული ვაშლის ღირებულება. ფორუმის დასასრულს მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს საქართველოში ვაშლის ღირებულებათა ჯაჭვის უკეთესი განვითარებისთვის.

დღის მეორე ნახევარში მონაწილეებმა შიდა ქართლის რეგიონში, გორის მუნიციპალიტეტში მდებარე ერთ-ერთი მეტეოსადგური დაათვალიერეს. ვიზიტი სოფელ სკრაში, ბატონი მირიან ოქროშიაშვილის ვაშლის ბაღში შედგა, რომელიც მიეძღვნა ვაშლის ბაღებს, მეტეო სადგურს და ვაშლის მარკეტინგს შიდა ქართლში, ასევე კოოპერატივის მომავალ განვითარებას, რომელიც იყენებს მავნებლების მართვის საუკეთესო პრაქტიკას ევროკავშირიდან. საველე ვიზიტი იყო შესანიშნავი შესაძლებლობა საქართველოს მთავრობის მაღალი დონის

წარმომადგენლებისთვის, საერთაშორისო პარტნიორებისთვის (ელჩები, განვითარების ინსტიტუტების ხელმძღვანელები) და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობოდნენ საქართველოს ბაღებში სტრატეგიულად მიღწეულ პროგრესს.

„ფინანსები, გაფართოება და კოოპერატივების განვითარება ქართველი ფერმერებისთვის“ FinExCoop Georgia დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ EU (NIF) პროგრამის ფარგლებში. პროექტის მენეჯმენტი და კოორდინაცია ხდება საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მიერ (AFD). ოთხწლიანი პროექტი რომლის ჯამური ბიუჯეტი 4 მილიონი ევროა, მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის ფინანსებთან წვდომის გაუმჯობესებას მცირე მასშტაბური კომერციული მეურნეობებისა და კოოპერატივებისათვის საქართველოში.

საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) ახორციელებს საფრანგეთის პოლიტიკას საერთაშორისო განვითარებისა და სოლიდარობის შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საჯარო სექტორის დაფინანსებით, ისევე როგორც კვლევებითა და პუბლიკაციებით, AFD მხარს უჭერს და აჩქარებს პროცესებს უფრო სამართლიან, გამძლე სამყაროს ჩამოყალიბებაზე. ის ასევე უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას მდგრადი განვითარების შესახებ (AFD Campus-ში) და ცნობიერების ამაღლების სხვა აქტივობებს საფრანგეთში.

საკონტაქტო პირი:

თინათინ ჭულუხაძე, FinExCoop საქართველო, 599 201555, Tichulukhadze@gmail.com

ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

GEORGIA FinExCoop

AFD
AGENCE FRANÇAISE
DE DEVELOPPEMENT

Frankfurt School
of Finance & Management
German Excellence. Global Relevance.

MERCY CORPS

RDFG
for a better future

AGRICULTURES
& TERRITOIRES
CHAMBRES D'AGRICULTURE
FRANCE